პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 ივლისი შაბათი 1974 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 168 (15989)

„სოიუზ-14“ ხომალდის ეკიპაჟი დედამიწაზე დაბრუნდა

„სალუტ-3“ სადგური ფრენას განაგრძობს

საკდესის ცნობა

1974 წლის 19 ივლისს 15 საათსა და 21 წუთზე მოსკოვის დროით „სალუტ-3“ პილოტირებულ ორბიტულ სამეცნიერო სადგურზე კვლევის თხუთმეტდღიანი პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები პ. რ. პოპოვიჩი და ი. პ. არტიუხინი დედამიწაზე დაბრუნდნენ. აპარატი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში 140 კილომეტრზე ქალაქ ჯეზყაზღანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მთლიანად შეასრულეს რა „სალუტ-3“ პილოტირებულ სადგურზე სამუშაოთა დაგეგმილი პროგრამა, კოსმონავტებმა დედამიწაზე დასაშვებად მოამზადეს „სოიუზ-14“ სატრანსპორტო ხომალდი. ხომალდის დასაშვებ აპარატში გადაიტანეს მეცნიერული კვლევის მასალები, ფოტო- და კინოფირებიანი კასეტები, საბორტო ჟურნალები.

გადასვლის შემდეგ კოსმონავტებმა დაკეტეს შიგნითა საძვრომი ლუკი, რომელიც ხომალდსა და ორბიტულ სადგურს აერთებს, და სამუშაო ადგილები დაიკავეს „სოიუზ-14“ სატრანსპორტო ხომალდში.

12 საათსა და 3 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-14“ ხომალდი და „სალუტ-3“ სადგური ერთმანეთს დაშორდნენ და ცალ-ცალკე განაგრძეს ფრენა.

გაანგარიშებულ დროს დედამიწაზე დასაშვებად ჩართეს სატრანსპორტო ხომალდის სამუხრუჭე ძრავა. ძრავის მუშაობის დამთავრების შემდეგ ნაკვეთურები ერთმანეთს დაშორდნენ და დასაშვები აპარატი გადავიდა დაშვების ტრაექტორიაზე.

გაანგარიშებულ სიმაღლეზე ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, ხოლო უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილი დაჯდომის ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი რბილად დაჯდა გაანგარიშებულ რაიონში.

დაშვების ადგილას სამედიცინო გასინჯვამ ცხადყო, რომ ამხანაგები პავლე რომანის-ძე პოპოვიჩი და იური პეტრეს-ძე არტიუხინი კოსმოსური ფრენის შემდეგ თავს კარგად გრძნობენ.

წარმატებით დამთავრდა „სალუტ-3“ ორბიტული სადგურისა და „სოიუზ-14“ სატრანსპორტო ხომალდის ერთობლივი ფრენის დროს მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის გათვალისწინებული პროგრამა.

მიღებულ მეცნიერულ მონაცემებს ამუშავებენ და სწავლობენ.

მთელი ფრენის მანძილზე „სოიუზ-14“ კოსმოსურ ხომალდთან და „სალუტ-3“ სადგურთან კავშირს საიმედოდ უზრუნველყოფდნენ იმ დედამიწისეული საკომანდო-საზომი კომპლექსის საშუალებები, რომელშიც შედის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საზომი პუნქტები, და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი გემები „კოსმონავტი იური გაგარინი“, „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი“, „კეგოსტროვი“ და „მორუოვეცი“, რომლებიც ატლანტიკის ოკეანის აკვატორიაში არიან. „სალუტ-3“ სადგური ფრენას განაგრძობს ავტომატური რეჟიმით.

ძმური, გულითადი შეხვედრა

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ვარშავაში ჩავიდა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი 19 ივლისს სიფეროპოლიდან გაემგზავრა ვარშავაში პოლონეთის აღორძინების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები კ. ვ. რუსაკოვი და ა. ი. ბლატოვი.

სიმფეროპოლის აეროპორტში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გაეცალეს უკრაინის კომპარტიის ყირიმის ხაოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ა. კირიჩენკომ, ყირიმის ხაოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. ნ. ჩემოდუროვმა, ხაოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, სხვა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა. (საკდესი).

ვარშავა, 19 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გულღიად და გულწრფელად, ძმური გულითადობით შეხვდა დღეს სადღესასწაულოდ მორთული ვარშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით, რათა მონაწილეობა მიიღოს პოლონეთის აღორძინების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

დედაქალაქის აეროპორტი მორთულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით პოლონურ და რუსულ ენებზე, საფრენ მინდორზე ჩამწკრივებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამი ჟანრეოლის შეიარაღებული ძალების საპატიო ყარაული.

თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბ. იბანლონსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იბროშევიჩი.

აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სახელმწიფო საბჭოს წევრები, პოლიტიკურ პარტიათა, ხალხის ერთიანობის ფრონტის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. დამხვდურთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ა. პილოტოვიჩი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები. პიონერებმა ლამაზი მიხაკის თაიგულები მიართვეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევსა და სახალხო პოლონეთის ხელმძღვანელებს.

ულერს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა ჩამოუარეს პოლონელი მეომრების მწყობრს და ვაემპრანენ აეროდრომზე შეკრებილი ვარშაველებისაკენ, რომლებიც მჭუხარე ტაშით, მეგობრული შეძახილებით ესალმებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანსა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს.

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გერეკი ლია მანქანაში სხდებიან. მოტოციკლისტთა სპატიო ესკორტის თანხლებით კორტეჟი ქალაქისაკენ მიეშართება.

მთელ გზაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზე ახალთახალი ვარშაველი შეკრებილა. ყველგან მოჩანს ალისფერი საბჭოთა და თეთრ-წითელი პოლონური ალმები, მისასალმებელი ტრანსპარანტები.

პოლონელი მფრინავების ძეგლთან ვარშავის ერთ-ერთ გაცხოველებულ მაგისტრალზე კოლონა ჩერდება, გაიხსნის მჭუხარე ტაში, შეძახილები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ლეონიდ ილიას-ძე!“, „გმადლობთ ჩვენი დღესასწაულისადმი ყურადღებათათვის!“, „მივესალმებით ძვირფას სტუმარს!“.

მუშათა რაიონის — ვოლიას აქ შეკრებილ მცხოვრებთა შორის არიან კ. სვერჩევსკის სახელობის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნისა და სხვა საწარმოთა მშრომელები, სრულიად პოლონეთის ახალგაზრდობის შეკრების მონაწილე ყმაწვილები. ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გერეკი გამოდიან ავტომანქანიდან, ესაუბრებიან მუშებს.

და კვლავ გაიხსნის შეძახილები საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურღვევი მეგობრობის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პატივსაცემად.

ახალი მაგისტრალის — ლაზენკოვსკაიას ტრასის დასაწყისში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დედაქალაქის სხვა მცხოვრებლებთან ერთად დახვდნენ მეტალურგიული ქარხნის „ვარშავის“ წარმომადგენლები, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე კი ვარშავის საავტომობილო ქარხნის მუშები.

მუშებთან გულთბილი საუბრების დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. გერეკმა გამოიკითხეს, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ ვარშავის საწარმოთა კოლექტივები, როგორია მათი საწარმოო წარმატებანი. ლეონიდ ილიას-ძემ მუშებს გადასცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა გულითადი სალამი, უსურვა ვარშაველებს შემდგომი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, მათი მშვენიერი ხამშობლოს აყვავებაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საყოველთაო-ხალხური შეხვედრა პოლონეთის დედაქალაქში, მშრომელებთან მისი საუბრები, მხატვრული კოლექტივების მისასალმებელი გამოსვლები ქუჩებში და მოედნებზე, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟი მიდიოდა, გადაიქცა საბჭოთა ჭვეყნისა და მისი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, პოლონელი ხალხის მხურვალე ძმური გრძნობებს მკაფიო დემონსტრაციად. ეს იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და შეკავშირების დემონსტრაცია.

ვარშავა. აეროპორტში შეხვედრის დროს. ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გერეკი მიესალმებიან ერთმანეთს.

საკდესის სპეცკორესპონდენტების ვ. მუსაპელიანის და ვ. სობოლევის ტელეფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

დღეს და ხვალ სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების რესპუბლიკური დათვალიერება

მსოლოდ უხვი ჰექტარები!

ფალენჩისა

— ვიბრძოლებთ საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის ნაცვლად 1973 წელს მიღებული 16,3 ცენტნერისა, ეაწარმოებთ 32.800 ცენტნერ სიმინდს, უზრუნველყოფთ სოიისა და ლობიოს სახელმწიფო დამზადების გეგმის ადრეადრეებით შესრულებას, მეცხოველეობისათვის საკმარისი რაოდენობით მოვიმარაგებთ სილოსს, უხეშ საკვებს, ძირხვნებსა და სხვა საკვებს. ასეთია ფალენჩიელი შრომელთა მტკიცე გადაწყვეტილება.

რაიონში ერთწლიანი კულტურები კარგად არის დამუშავებული. აღსანიშნავია ლიის კოლმეურნეობა „თბილისის“ (თავმჯდომარე ვ. სამუშია) მწვნელ-მთესველების ჯარი მუშაობა. კოლმეურნეობაში სიმინდი 219 ჰექტარზე დათესეს, მათ შორის სამარცვლიდ — 190 ჰექტარზე. კარგად იმუშავა მექანიზაციის რგოლმა, რომელსაც გამოცდილი ტრაქტორისტი ვ. შამუკია ხელმძღვანელობს. ხვნის წინ ნიადაგში შეიტანეს ენგურის შლამი, ნთესვები გამოკვებეს მინერალური და ორგანული სასუქებით, კულტივაცია, გათხნა, გაფვრეერება დროულად ჩაატარეს.

სიმინდის ნათესებს კარგი პირი უჩანს ჯვარის, ჩქვალერის, ლარამიდანის, ჭალის, ობუჯის, ფალენჩიხის პირველი მაისის კოლმეურნეობებში.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყვარელი

მიჯათმოძმედება სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის დიდი გამოცდილება შეიძინეს. წელს მათ ვალდებულება იკისრეს სიშეალოდ ჰექტარზე მიიღონ 35 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 300 ცენტნერზე მეტი სასილოსე მწვანე მასა. ალაზანველი მეურნეობანი ფიქრობენ კიდევ უფრო უხვი მოსავლის მიღებას. მაგალითად, სოფელ შილდის კოლმეურნეები შეჯიბრებაში ბრაან ჩაბმული ჰექტარზე 40-45 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღებისათვის, მთისძირის საბელმწიფო სანერგე მეურნეობის მშრომელები, სულ ცოტა 60 ცენტნერ მოსავალს მოელიან. სიმინდის უხვი მოსავლითაა ხელგანთქმული სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის, სოფელ ჭიკანის მარქსის სახელობის და სოფელ ბალოფლიანის კოლმეურნეობები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს მიიღონ დაგეგმილზე ორჯერ მეტი მოსავალი.

ყვარელი მესიმინდეები შრომობენ დევიზით: „მეტი მარცვალი შრომის უმცირესი დანახარჯებით“. რაიონში მუშაობს 50-მდე კომპლექსურ-მექანიზებული რგოლი. ცენტნერი სიმინდის მარცვლის წარმოებაზე ისინი სულ 2-3 მანეთს ხარჯავენ. (საქინფორმი).

თერჯოლა

რაიონში სიმინდის ნათესებს 3.150 ჰექტარი უჭირავს. აქედან სამარცვლედ დათესილია 2.500 ჰექტარი.

განსაკუთრებით სიმინდის უხვ მოსავალს მოელიან თუზის, გოდოგნის, ჭოგნარის, კვაბჭირის, ეწრის, ალისუბნის, საზანოს კოლმეურნეობები. რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული 18 ცენტნერისა.

ვ. კუტალაძე.

განმსაზღვრელი წლის ჯემპი

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

1974 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. **1974 წლის** პირველ ნახევარში გადიდდა წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

გრძელდებოდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება.

I. მრეწველობა

გადაჭარბებით შესრულდა რეალიზაციის საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 4,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 8,3 პროცენტი წლიური გეგმით გათვალისწინებული 6,8 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება ნახევარ წელიწადში გადიდდა 6,8 პროცენტით წლიური გეგმით გათვალისწინებული 6 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 83 პროცენტი. შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. მოგების გეგმა მრეწველობაში შეესრულდა. 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით მოგება გაიზარდა 12 პროცენტით.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგეტიკა	8 პროცენტით
საბადოების მრეწველობა	5 პროცენტით
შავი და ფერადი მეტალურგია	6 პროცენტით
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	11 პროცენტით
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12 პროცენტით
ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	4 პროცენტით
საშენ მასალათა მრეწველობა	6 პროცენტით
მსუბუქი მრეწველობა	4 პროცენტით
კვების მრეწველობა	10 პროცენტით
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება	9 პროცენტით

წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ და ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

ცალკეული სამინისტროების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა:

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებანი	პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წლის I ნახევარი პროცენტობით 1973 წლის I ნახევართან შედარებით: წარმოების მოცულობა	1974 წლის I ნახევარი პროცენტობით 1973 წლის I ნახევართან შედარებით: შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციისა	101	108	107
ნავთობის მრეწველობისა	102	107	107
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობისა	102	109	107
გაზის მრეწველობისა	102	112	106
ქვანახშირის მრეწველობისა	103	103	105
შავი მეტალურგიისა	100,8	105	105
ფერადი მეტალურგიისა	101	107	107
ქიმიური მრეწველობისა	102	112	110
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა	101	107	106
ელექტროტექნიკური მრეწველობისა	103	108	107
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობისა	103	110	108
ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობისა ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებების და მართვის სისტემებისა	101	111	109
საავტომობილო მრეწველობისა	103	117	113
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა	103	112	110
მეცხოველეობისა და საკვების წარმოების მანქანათმშენებლობისა	103	114	111
საამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობისა	103	109	108
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობისა	101	109	106
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობისა	102	103	104
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა	100,5	105	105
საშენ მასალათა მრეწველობისა	101	107	106
მსუბუქი მრეწველობისა	102	104	104
კვების მრეწველობისა	102	112	111
ხორცისა და რძის მრეწველობისა	103	110	[illegible]
თევზის მეურნეობისა	105	107	[illegible]
დამზადებისა	103	102	[illegible]
სამედიცინო მრეწველობისა	102	109	[illegible]
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	103	121	[illegible]

ქვემოთ მოგვყავს მონაცემები მოკავშირე რესპუბლიკების (ავტონომიურ რესპუბლიკათა ჩათვლით) შორის საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა) მიხედვით:

	პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წლის I ნახევარი პროცენტობით 1973 წლის I ნახევართან შედარებით: წარმოების მოცულობა	1974 წლის I ნახევარი პროცენტობით 1973 წლის I ნახევართან შედარებით: შრომის ნაყოფიერება
რუსეთის სფსრ	102	108,1	107,0
უკრაინის სსრ	102	108,3	106,8
ბელორუსიის სსრ	103	110,5	108,4
უზბეკეთის სსრ	104	107,8	104,6
ყაზახეთის სსრ	102	108,7	107,0
საქართველოს სსრ	103	110,8	107,9
აზერბაიჯანის სსრ	102	110,8	107,7
ლიტვის სსრ	103	107,4	106,0
მოლდავეთის სსრ	103	115,9	111,9
ლატვიის სსრ	102	105,1	104,3
ყირგიზეთის სსრ	100,9	107,0	104,5
ტაჯიკეთის სსრ	103	105,6	102,7
სომხეთის სსრ	103	110,8	106,9
თურქმენეთის სსრ	103	107,4	104,9
ესტონეთის სსრ	102	107,1	107,7

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება მთლიანად ქვეყანაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1974 წლის I ნახევარი	1974 წლის I ნახევარი პროცენტობით 1973 წლის I ნახევართან
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატსაათი	483	107
ნავთობი (გაზის კონდენსატთან ერთად) — მილიონი ტონა	224	108
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	127	108
ქვანახშირი — მილიონი ტონა	340	102
აქედან საკოქსავი	87,1	100,1
თუჯი — მილიონი ტონა	49,3	105
ფოლადი — მილიონი ტონა	67,3	104
შავი ლითონების ნაგლინი — მილიონი ტონა	54,0	105
აქედან მზა ნაგლინი	47,0	103
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	1140	102
მილიონი ტონა	7,3	104
რკინის მადანი — მილიონი ტონა	110	104
მინერალური სასუქები — მილიონი ტონა:		
პირობითი ერთეულით	39,0	110
აუთოანი ნივთიერებების 100-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	9,4	110
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი — ათასი ტონა:		
პირობითი ერთეულებით	192	112
მოქმედი საწყისის 100 პროცენტზე გადაანგარიშებით	114	114

(გაგრძელება 3ე-2 გვ.).

განმსაზღვრელი წლის ჯემპი

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(მაგრძელება)

100 პროცენტიანი კალორირებული სოდა — მილიონი ტონა	2,2	106
100 პროცენტიანი კაუსტიკური სოდა — მილიონი ტონა	1,1	108
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	8,1	112
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — მილიონი ტონა	1,2	108
ქიმიური ბოჭკო და ძაფი — ათასი ტონა	436	109
ფეტოსბურავები — მილიონი ცალი	22,9	111
ტურბინები — მილიონი კილოვატი	8,3	116
ტურბინების გენერატორები — მილიონი კილოვატი	7,6	96
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	21,9	105
ლითონსაჭრელი ჩარხები:		
ათასი ცალი	108	103
მილიონი მანეთისა	678	111
ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო რიოდენობიდან — რიცხობრივი პროგრამული მართვის ჩარხები — ათასი ცალი	2,0	111
სამეცნიერო-საწარმო მანქანები:		
ათასი ცალი	24,0	104
მილიონი მანეთისა	179	113
ნავთობი, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	1,8	114
გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	943	127
შეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	170	101
ქვანახშირის მახტებში საწვნენლ სამუშაოთა კომპლექსები და მექანიზებული სამაგრები — კომპლექტები	238	107
ქვანახშირის საწვნენლი კომბაინები — ცალი	572	120
გვირაბგასაყვანი კომბაინები — ცალი	258	118
ნავთობაპარატურა — ათასი ტონა	87,4	110
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	298	110
ბილიმერული მასალების გადასამუშავებელი მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	45,7	100,8
შუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	309	113
ტყვის, ხორც-რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	225	109
სამგზავრო თბომავლები:		
სექციები	726	96
ათასი ცხენის ძალა	2027	102
სამგზავრო ვლმავლები:		
ცალი	181	100,6
ათასი ცხენისძალა	1344	102
სატვირთო-სამგზავრო ვაგონები — ათასი ცალი	35,8	101
ავტომობილები → ათასი ცალი	900	116
აქედან:		
სატვირთო	330	107
მსუბუქი	540	124
ავტობუსები	30	104
ავტომობილების სათადარიგო ნაწილები → მილიონი მანეთისა	593	107
ტრაქტორები:		
ათასი ცალი	264	106
მილიონი ცხენის ძალა	19,6	108
ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	505	106
ტრაქტორის მისაბმელები — ათასი ცალი	152	100,7
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მილიონი მანეთისა	1679	116
სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთო რაოდენობიდან — მანქანები და მოწყობილობა მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და საკვების დამზადების სამუშაოთა მექანიზაციისათვის — მილიონი მანეთისა	650	115
სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	178	111
კომბაინები — ათასი ცალი:		
მარცვლეულის ასაღები	41,3	81
სამინდის ასაღები	5,0	112
კარტოფილასაღები	4,4	107
ჭარხლასაღები	7,7	113
ნალოსის ასაღები	32,1	109
ბამბის საკრეფი მანქანები (ფუნჯური ტრაეფული) — ათასი ცალი	3,6	98
საკრეტ-საწნეხები — ათასი ცალი	13,2	118
საწვნელი დანადგარები — ათასი ცალი	27,0	95
ექსკავატორები — ათასი ცალი	18,6	105
ბულდოზერები — ათასი ცალი	23,3	102
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ დამზადებული ხე-ტყის გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	163	99,1
ცელულოზა — მილიონი ტონა	3,1	104
ქაღალდი — მილიონი ტონა	2,5	103
მუყაო — მილიონი ტონა	1,6	106
ცემენტი — მილიონი ტონა	56,5	105
ასაწყობი რკინა-ბეტონი — მილიონი კუბური მეტრი ნაწარმი	53	105
საშენი აგური — მილიარდი ცალი	22,5	100,6
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	3,6	105
რბილი სახურავი მასალები და იზოლი — მილიონი კვადრატული მეტრი	834	110
ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	125	99,5
ყველა სახეობის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	4.930	102
აქედან:		
ბამბის	3318	101
შალის	362	105
სელის	407	100,0
აბრეშუმის	706	107
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	9,0	104
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	465	103
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	237	102
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	344	101
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) — მილიონი ტონა	4,1	112
ძეხვეული — მილიონი ტონა	1,4	106
სასურსათო თევზეული, თევზის კონსერვებთან ერთად — მილიარდი მანეთისა	1,7	104
ერბო-კარაქი — ათასი ტონა	627	105
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	11,8	110
რძის ფხვნილი და ნაღების ფხვნილი — ათასი ტონა	152	117
ცხიმიანი ყველი — ათასი ტონა	285	109
მკვნარეული ზეთი — მილიონი ტონა	1,9	150
საკონდიტრო ნაწარმი — მილიონი ტონა	1,7	104
კონსერვები — მილიარდი ქილა	4,1	111
კომბინირებული საკვები — მილიონი ტონა	18,3	107
სინთეზური სარეცხი საშუალებანი — ათასი ტონა	335	112
სპირტები — მილიონი ცალი	25,0	108
ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი — მილიონი ცალი	453	112
სორტული ჭურჭელი (მინის და ბროლისა) — მილიონი მანეთისა	141	115
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	4,3	99,2
ტელევიზორები — მილიონი ცალი	3,2	104
მაცივრები — მილიონი ცალი	2,7	99,9
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	1,5	100,9
ელექტრომტვერსასრუტები — მილიონი ცალი	1,6	123
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	476	103
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი	2,4	103
ავეჯი — მილიარდი მანეთისა	1,9	109

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: 33 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 17 მილიონი ტონა ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით), 9,1 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, 5,7 მილიონი ტონა ქვანახშირი, 2,4 მილიონი ტონა ფოლადი, 2,4 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 26 მილიონი მეტრი ფოლადის მილები, 3,6 მილიონი ტონა მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით), 87 ათასი ტონა სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, 2,2 მილიონი ცალი ავტოსატვირთავები, 69 მილიონი მანეთის ლითონსაჭრელი ჩარხები, 224 მილიონი მანეთის ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და მათი სათადარიგო ნაწილები, 28 მილიონი მანეთის ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, 125 ათასი ცალი ავტომობილი, მათ შორის 21 ათასი ცალი სატვირთო ავტომობილი; 40 მილიონი მანეთის ავტომობილების სათადარიგო ნაწილები, 14 ათასი ცალი ტრაქტორი და 30 მილიონი მანეთის მათი სათადარიგო ნაწილები, 229 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები და 16 მილიონი მანეთის მათი სათადარიგო ნაწილები, 86 მილიონი მანეთის მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და საკვების დამზადების სამუშაოთა მექანიზაციის მანქანები და მოწყობილობა, 82 ათასი ტონა ქაღალდი, 2,7 მილიონი ტონა ცემენტი, 3 მილიონი კუბური მეტრი ასაწყობი რკინა-ბეტონი. გაიზარდა ფეიერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიისა და ნავთობგადამუშავების პროდუქტებისა და მთელი რიგი სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

წარმოებულია სახალხო მოხმარების საქონელი მეტი: 105 მილიონი კვადრატული მეტრი ქსოვილები, 362 მილიონი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 432 ათასი ტონა ხორცი, 30 ათასი ტონა კარაქი, 1,1 მილიონი ტონა მოუხდელი რძის პროდუქცია, 22 ათასი ტონა ყველი, 615 ათასი ტონა მეცნარეული ზეთი, 64 ათასი ტონა საკონდიტრო საქონელი, 419 მილიონი ქილა კონსერვები, 48 მილიონი ცალი ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი, 19 მილიონი მანეთის სორტული ჭურჭელი, 113 ათასი ცალი ტელევიზორი, 162 მილიონი მანეთის ავეჯი, 35 ათასი ტონა სინთეზური სარეცხი საშუალებანი.

ამასთან ერთად მრეწველობის მუშაობაში იყო რიგი ნაკლოვანებანიც. საწარმოთა ნაწილს არ შეუსრულებია პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და დაგროვების დადგენილი დავალებანი. მთლიანად არ შესრულებულა კაუსტიკური სოდის, გოგირდმჟავას, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფის, ნავთობაპარატურის, ცალკეულ სახეობათა საბეჭდი ქაღალდის, სამსალე მერქნის, ცელულოზის, მუყაოს, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის, სარეცხი მანქანების, ელექტრომტვერსასრუტებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა; ყველგან როდია უზრუნველყოფილი საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის ნაწარმის გამოშვება. ბევრი სამრეწველო საწარმო ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებს წარმოების შემდგომი გადიდების რეზერვებს, არის ნაკლოვანებანი საწარმოო სიმძლავრეების გამოყენებაში.

* * *

სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები და საწარმოები განაგრძობდნენ **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის** პრობლემებზე მუშაობას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის.

მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა 1,1 მილიონ კაცს გადააჭარბა. სახალხო მეურნეობაში წლის პირველი ნახევრის მანძილზე დაინერგა დაახლოებით 2 მილიონი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა თითქმის 1,9 მილიარდ მანეთ ეკონომიას წელიწადზე გადაანგარიშებით.

წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და ინტენსიფიკაციის შედეგად გაუჯობესდა საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ელექტროსადგურებში სათბობის ხვედრითი ხარჯი 1,2 პროცენტით შემცირდა. ქვანახშირის შახტებში საშუალო-სადღეღამისო მოპოვება მოქმედი საწვნელი სანგრევებიდან გაიზარდა 8 პროცენტით. შავ მეტალურგიაში ბრძოლების მარგი მოცულობის გამოყენება გაუჯობესდა 2 პროცენტით, ფოლადის საშუალო-სადღეღამისო ანარეცის მარტენის საამქროების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრზე გადიდდა 3 პროცენტით. ფოლადის გამოდნობა კონვერტორთა ერთ ტონა მოცულობაზე გაიზარდა 3 პროცენტით. ცემენტის მრეწველობაში მბრუნავი ღუმელების საათობრივი მწარმოებლობა ამაღლდა 3 პროცენტით, წისქვილებისა — 1 პროცენტით. საფეიერო მრეწველობის საწარმოებში გაიზარდა სართაული და საქსოვი მოწყობილობის მწარმოებლობა.

სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს და დაიწყეს 1500-ზე მეტი ახალი სახეობის ნაკეთობათა წარმოება მძიმე მანქანათმშენებლობაში, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ჩარხმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში, ნავთობქიმიაში, საშენ მასალათა მრეწველობასა და სხვა დარგებში. კერძოდ, დამზადებულია: საათში 5 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის მაღნისმომპოვებელი უწყვეტი მოქმედების მანქანათა კომპლექსი; საათში 2.650 ტონა ორთქლის მწარმოებლობის ერთკორპუსიანი ორთქლის ქვაბი 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინის მუშაობისათვის: სხვადასხვა დიამეტრის სამაგრი მილების კონტაქტური შედუღების დანადგარები; ელექტრომოწყობილობის კომპლექტი ბოსტნეულ — და ხილსაცავებში მიკროკლიმატის რეგულირებისათვის. დაიწყო საკლირების რგოლების დასამუშავებელი მაღალი სიზუსტის ავტომატებული უცენტრო მრგვალსახეხი ავტომატების გამის წარმოება, გადიდებული მწარმოებლობის სიმინდის ასაღები კომბაინები: მიკროელექტრონულ ელემენტურ ბაზაზე მოცულობითი დამუშავების საღორავი ჩარხებისათვის უწყვეტი ციფრული პროგრამული მართვის მოწყობილობა. 1974 წლის პირველ ნახევარში წარმოებიდან მოიხსნა ბევრი სახეობის მძიმეულებული კომსტრუქციების მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და მანქანათმშენებლობის სხვა ნაკეთობანი.

1974 წლის 1 იელისისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მინიჭებული ჰქონდა 18,5 ათას ნაკეთობას, აქედან — 6,3 ათას ნაკეთობას ეს ნიშანი მიენიჭა 1974 წლის პირველ ნახევარში.

იყენებდნენ მოწინავე ტექნოლოგიურ პროცესებს, ახორციელებდნენ საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. სახალხო მეურნეობაში გრძელდებოდა გამოსათვლელი ტექნიკის დანერგვა.

ამასთან, მთელი რიგი **სამინისტროების** ცალკეულმა **საწარმოებმა** და ორგანიზაციებმა სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების გეგმები მთლიანად ვერ შეასრულეს. ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთი პროდუქციის გამოშვებას, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, ნელი ტემპით წარმოებს მანქანათმშენებლობის ბევრი სახეობის პროდუქციის განახლება.

II. სოფლის მეურნეობა

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდი მუშაობა გასწიეს შარშანდელ წარმატებათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვლავ ინერგებოდა პროგრესული ტექნოლოგია, შრომის უფრო სრულყოფილი ორგანიზაცია, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ხორცეულდებოდა ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის და მეურნეობათაშორისი კოოპერაციის გაფართოებისათვის.

ქვეყნის მიწათმოქმედებმა ორგანიზებულად დაამთავრეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადაჯარბებით შესრულდა საგაზაფხულო თესვის გეგმა: გათვალისწინებულზე მეტი დაითესა საგაზაფხულო ხორბალი, ბრინჯი, სამარცვლე სიმინდი, ბამბა, შაქრის ჭარხალი და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები, 1974 წელს **ხაოვნმა ფართობებმა** ყველა კატეგორიის მეურნეობებში, წინასწარი მონაცემებით, შეადგინა 216 მილიონი ჰექტარი, რაც 1,5 მილიონი ჰექტარით მეტია, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის იყო; ამასთან მარცვლეული კულტურების ფართობი გაიზარდა 1,8 მილიონი ჰექტარით და მიაღწია 129,7 მილიონ ჰექტარს, აქედან ხორბალი დათესილია 59,9 მილიონ ჰექტარზე. გაიზარდა ბრინჯის, სამარცვლე სიმინდის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის ფართობები. გაიზარდა სათესი ფართობები სარწყავ და ამორრობილ მიწებზე.

ყველგან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თიბავენ ბალახს და ამზადებენ საკვებს. ამავე დროს მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ივლისის შუა რიცხვებისათვის თივა, სენაჟი და ბალახის ფხვნილი დაამზადეს რამდენადმე ნაკლები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

დაიწყო მარცვლეული კულტურების მასობრივი აღება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, გადიდდა მისი პროდუქტიულობა. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და საბელმწიფოსათვის მიყიდვა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქტიული **პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ** შეადგინა (მილიონი სული):

	1 ივლისისათვის	
	1973 წ.	1974 წ.
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	81,3	84,0
აქედან ძროხა	26.0	26,8
ღორი	51,8	54,5
ცხვარი და თხა	139,6	145,8
ფრინველი	521,6	557,1

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა: რძისა — 8 პროცენტით, კვერცხისა — 12 პროცენტით. ხორცის წარმოება გადიდდა 9 პროცენტით, აქედან ძროხის და ხბოს ხორცისა — 8 პროცენტით, ღორის ხორცისა — 11 პროცენტით, ფრინველის ხორცისა — 20 პროცენტით, ცხვრის ხორცის წარმოება შარშანდელ დონეზე დარჩა. რძის საშუალო ნაწველი თვითეულ ძროხაზე გადიდდა 5 პროცენტით, მოქცეულის საშუალო კვერცხისმდებლობა — 3 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვას ყველა კატეგორიის მეურნეობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წლის პირველი ნახევარი	
	1973 წ.	1974 წ.
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა) მილიონი ტონა	6,8	7,4
რძე — მილიონი ტონა	25,9	28,2
კვერცხი — მილიარდი ცალი	15,7	17,4

გადაჭარბებითაა შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 9 პროცენტით მეტი პირუტყვი და ფრინველი, აგრეთვე რძე, 11 პროცენტით მეტი კვერცხი.

განხორციელდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების **კაპიტალურმა დაბანდებამ** სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა დაახლოებით 12 მილიარდი მანეთი და 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა. კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობიდან საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობასა და მელიორირებული მიწების ათვისებას მოხმარდა დაახლოებით 2,5 მილიარდი მანეთი, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და საკვები ფოსფატების მიწოდებას ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია.

ნახევარი წლის მანძილზე მიწოდებულია: 11,8 მილიონი ცხენის ძალის სიმძლავრის 167 ათასი ტრაქტორი, აქედან 75 ათასი სახნავი ტრაქტორი; 120 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 38 ათასი მარცვლასაღები, 7,6 ათასი ჭარხლასაღები, 31 ათასი სილოსის ასაღები, 4,9 ათასი სამინდის ასაღები და 6 ათასი კარტოფილისაღები კომბაინი, 3,4 ათასი ბამბის საკრეფი მანქანა, 38 ათასი მწკრივად სამელი მანქანა, 10 ათასზე მეტი მარცვლასაწმენდი მანქანა, 103 ათასი ტრაქტორის გუთანი, 16 ათასი მოსაშანდაკებელი მანქანა, 85 ათასი კულტივატორი, 98 ათასი სათესი მანქანა, 49 ათასი სათიბი მანქანა, 26 ათასი ტრაქტორის ფრცხი, 62 ათასი მინერალური და ორგანული სასუქების მომბნევი, 7,5 ათასი უნივერსალური გამნოყიერებელ-მომსხურებელი მანქანა, 11,5 ათასი დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, 15 ათასი საკრებ-საწნეხი, 41 ათასი უნივერსალური სატვირთელი, 29 ათასი საწველი დანადგარი და ბევრი სხვა მანქანა-მექანიზმი. თუმცა ტრაქტორების მიწოდების საერთო გეგმა შესრულდა, მთლიანად ტ-40ამ, ტ-54ს და ტ-74 მარკის ტრაქტორების მიწოდების გეგმა არ შესრულებულა, არ შესრულებულა მარცვალ-ასაღები კომბაინების მიწოდების გეგმა.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 31,4 მილიონი ტონა **მინერალური სასუქები,** ანუ 2,7 მილიონი ტონით მეტი. ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, და 947 ათასი ტონა საკვები ფოსფატები, ანუ 266 ათასი ტონით მეტი.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ შეადგინა 2,4 ტრილიონი ტონა-კილომეტრი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა. **მგზავრთბრუნვამ მიაღწია 318** მილიარდ მგზავრ-კილომეტრს და 6 პროცენტით გაიზარდა.

ნახევარი წლის გეგმის შესრულებას ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	შესრულებულია 1974 წლის I ნახევარში	ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1974 წლის I ნახევარი 1973 წლის I ნახევართან შედარებით
ტვირთბრუნვა —			
მილიარდი ტონა კილომეტრი,			
რკინიგზის ტრანსპორტი	1552	104	106
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	82	102	107
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	43	102	110
ნავთობსადენი ტრანსპორტი	250	101	124
ტვირთის გადაზიდვა —			
მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	1734	102	105
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	175	103	104
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	2406	102	109
ნავთობსადენი ტრანსპორტი	222	102	110

საზღვაო ტრანსპორტმა შეასრულა საშინაო და საზღვარგარეთის ნაოსნობაში ტვირთბრუნვის წლის პირველი ნახევრის გეგმა.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ ყველა სახეობის ნაოსნობაში შეადგინა 387 მილიარდი ტონა-კილომეტრი, ტვირთზიდვამ — 92 მილიონი ტონა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ტვირთბრუნვა და ტვირთზიდვა ყველა სახეობის ნაოსნობაში გაიზარდა 3 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდა კონტეინერებით ტვირთზიდვა.

საზღვაო ნავსადგურებში გაიზარდა **დატვირთვა-გადმოტვირთვის** სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

საჰაერო ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა მგზავრთბრუნვის ნახევარი წლის გეგმა, მგზავრთა გადაყვანის და ავიატვირთზიდვის საერთო მოცულობის ნახევარი წლის გეგმა. 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით მგზავრთბრუნვა გაიზარდა 9 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა — 6 პროცენტით და ავიატვირთზიდვის საერთო მოცულობა — 8 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდა სახალხო მეურნეობის დარგებში ავიაციის გამოყენების სამუშაოთა გეგმა; ამ სამუშაოთა მოცულობა 10 პროცენტით გაიზარდა.

რკინიგზის ტრანსპორტმა გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის, ნავთობის, რკინისა და მანგანუმის მადნის, ფერადი ლითონების მადნისა და გოგირდის ნედლეულის, ფოსფორიტების, ლითონკონსტრუქციების, ხე-ტყის, ცეცხლგამძლეების, ცემენტის, სამრეწველო ნედლეულისა და საყალიბო მასალების, გრანულირებული წიდის, მინერალური სასუქების, პურეულის გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმა; მთლიანად ვერ შესრულდა კოქსის, ტორფისა და მისი პროდუქციის, კომბინირებული საკვების გადაზიდვის გეგმა. კონტეინერებით ტვირთზიდვის მოცულობა 7 პროცენტით გაიზარდა.

გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდის დონეები, შემცირდა ტვირთზიდვის თვითღირებულება, ლოკომოტივის და სატვირთო ვაგონის საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის გეგმა შესრულებულია.

ამასთანავე მთელ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყოფდნენ საჭირო რაოდენობის ვაგონების მიწოდებას დასატვირთად, ბევრ შემთხვევაში ტვირთგამგზავნნი სრულად არ ტვირთავდნენ ვაგონებს. იყო ფაქტები, როცა საწარმოებსა და ტვირთის მიმღებ ორგანიზაციებს დროზე არ გამოაქონდათ მიღებული ტვირთი რკინიგზის სადგურებიდან, მისასვლელ რკინიგზებზე აყოვნებდნენ სატვირთო ოპერაციებისათვის განკუთვნილ ვაგონებს.

საერთო სარგებლობის **სამდინარო ტრანსპორტმა** მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ქვანახშირის, მადნის, ცემენტის, სამშენებლო ტვირთის, სამრეწველო ნედლეულისა და საყალიბო მასალების, გრანულირებული წიდის, შავი ლითონების, ქიმიური ტვირთის, მარილის გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმა; მთლიანად ვერ შესრულდა ხე-ტყის, კოქსის, ცეცხლგამძლეების, მინერალური სასუქების, პურეულის, კომბინირებული საკვების გადაზიდვის გეგმა.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** მგზავრთბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 100,8 პროცენტით. 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა 6 პროცენტით გაიზარდა. ცენტრალიზებული გადაყვანის მოცულობა გადიდდა 9 პროცენტით; სატვირთო ავტომობილების მწარმოებლობა 5 პროცენტით გაიზარდა. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა საერთაშორისო მიმოსვლაში 26 პროცენტით გადიდდა. მაგრამ ჯერ კიდევ დიდია სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენი და მოცდენები, საკმარისად არ იყენებენ ავტომისაბმელების პარკს.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) შეასრულეს პროდუქციის საერთო მოცულობის ნახევარი წლის გეგმა; 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა 8 პროცენტით გაიზარდა.

მოგებმა ნახევარი წლის გეგმა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებმა შეასრულეს.

IV. კაპიტალური მშენებლობა

განვლილ ნახევარ წელიწადში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე ამოქმედდა 20,6 მილიარდი მანეთი ღირებულების **ძირითადი ფონდები,** ანუ 4 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა

ელექტროსადგურებში მწყობრში ჩადგა 1,1 მილიონ კილოვატ ახალი სიმძლავრეები. ამოქმედდა 500 ათასკილოვატიანი სიმძლავრის ტურბინები ლენინგრადის ატომურ ელექტროსადგურსა და ჩელიაბინსკის ოლქის ტროიცკის თბოელექტროსადგურში, 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინა — რიაზანის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში; ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა ბერეთვე ჩერკასის ოლქის ანგვის პიდროელექტროსადგურში, ორენბურგის ოლქის კარგალინსკი და ნოვოსიბირსკის თბოელექტროსადგურებში; მწყობრში ჩადგა როსტოვის № 2 თბოელექტროცენტრალი.

ნავთობგადასამუშავებელ, ნავთობქიმიურ და გაზის მრეწველობაში ახალი სიმძლავრეები ამოქმედდა ომსკის კომბინატში, კირიშის, პოლოცკის, ნოვაია უფის, კრემენჩუგის, ანგარის ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში, ქვემო კამის სალტეების ქარხანაში, ბელაია ცერკოვის სალტეებისა და რეზინ-აზბესტის ნაწარმის კომბინატში, საექსპლატაციოდ გადაეცა ორენბურგის უდიდესი გაზგადამამუშავებელი ქარხნის პირველი რიგი, თურქმენეთის სსრ უდიდესი გაზკონდენსატის საბადოს შატლიყის გაზის სარეწის პირველი კომპლექსი.

ქვანახშირის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა დონეცკის ოლქის ქვანახშირგამამდიდრებელი ფაბრიკა „წითელი ეარსკვლავი“; გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად გაიზარდა მოქმედ ქვანახშირის შახტების სიმძლავრენი.

შავ მეტალურგიაში მწყობრში ჩადგა დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის № 2 ყანგბად-კონვერტორის საამქროს დონეცკის ოლქის ხარციზის მილის ქარხნის მილელექტროშესაღები საამქროს, ვორკის ოლქის ვიქსის მეტალურგიული ქარხნის თვლებსაგლინი საამქროს პირველი რიგები, დონეცკის მეტალურგიული ქარხნის სანამზადო დანი „950-900“, ჩრდილოეთის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მოგუნდის ფაბრიკის და ვოროშილოვგრადის იაკუბოვსკის საწელობის მილსაგლინავი ქარხნის ახალი კომპლექსები; დამატებითი სიმძლავრენი ამუშავდა ყარაღანდის მეტალურგიული კომბინატის ფურცლის ცივი გლინვის საამქროში.

ფერად მეტალურგიაში გაფართოდა ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატის, ყაზახეთის სსრ ლენინოგორსკის პოლიმეტალების კომბინატის, კრასნოიარსკისა და ბრატსკის ალუმინის ქარხნების სიმძლავრენი.

ქიმიურ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩრდილოეთ დონეცკის და როვნოს ქიმიური კომბინატების სინთეზური ამიაკის საწარმოო მსხვილი კომპლექსები, ქალაქ ტოლიატის კუბიბიშევის აზოტიანი სასუქების ქარხნის მინერალური სასუქებისა და კაპროლაქტამის, ჩერნიგოვის კომბინატის, კემეროვოსა და კი

გაანმსაზღვრელი წლის ჯემპი

(დასასრული)

ორგანიზებულ იქნა მშენებლობაში სამუშაოთა წარმოების ახალი ტექნოლოგიის შემდგომი გამოყენება — სამრეწველო შენობათა კონვეიერული აწყობა და გადახურვის მსხვილბლოკიანი მონტაჟი, თბოიზოლის უარხო ჯაჭვანა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა 0,5 პროცენტით, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მოგება 8 პროცენტით გაიზარდა.

თუმცა მთლიანად სახალხო მეურნეობაში საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულდა, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მნიშვნელოვან რიცხვს არ შეუსრულებია საიჯარო სამუშაოთა მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალებანი.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში საშუალოდ ნახევარ წელიწადში შეადგინა 98,3 მილიონი კაცი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 2,2 მილიონით, ანუ 2,3 პროცენტით.

1974 **წელს** გრძელდებოდა 1972 წლის დამლევს დაწყებული **მინიმალური ხელფასის** მომატება იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც 70 მანეთზე მეტს არ იღებენ ვადიან. ამავე დროს სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში დასაქმებულ საშუალო ხელფასიანი კატეგორიების მუშაკებს უდიდებოდათ სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები. წლის პირველ ნახევარში ეს ღონისძიებანი დამთავრდა ყაზახეთში, შუა აზიის რაიონებში, ვოლგა-ვიატსკის რაიონში და ხორეიელდება ვოლგისპირეთში. ხელფასი მოემატათ რუსეთის სფსრ არაშავიზენაადაგიანი ზონის სასოფლო და სატყეო მეურნეობაში მომუშავე ტრაქტორისტ-მემანქანეებს. **ურალის** რაიონების მრეწველობასა და მთელ რიგ სხვა საწარმოო დარგებში შემოღებული იყო ხელფასის კოეფიციენტები. მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებისთვისაც ეს კოეფიციენტები აღრე არ დაუწესებიათ. ქვეყნის იმ რაიონებში, სადაც განხორციელდა ხელფასის მომატების ღონისძიებანი, წყდება გადასახადების გადახდევინება იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც თვეში 70 მანეთზე მეტი არა აქვთ, ამავე დროს მცირდება თვეში 90 მანეთამდე ოდენობის ხელფასიდან გადასაგადი.

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა შეადგინა 139,5 მანეთი და 1973 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 4,8 პროცენტით. ხელფასმა მომატების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებასა და შეღავათებთან ერთად შეადგინა 188 მანეთი და გაიზარდა 4,6 პროცენტით. **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება** 6 პროცენტით გაიზარდა.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებულმა დახმარებამ და შეღავათებმა შეადგინა დაახლოებით 40 მილიარდი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 6,5 პროცენტით გაიზარდა. ამ ფონდების ხარჯზე მოსახლეობას უზრუნველყოფილი აქვს უფასო სწავლება და სამედიცინო დახმარება, პენსიების, დახმარებების, სტიპენდიების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი საგზურების გაცემა, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების შენახვა, შვებულებების ანაზღაურება და სხვა სახეობის სოციალურ-კულტურული მომსახურება.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში წლის პირველ ნახევარში გაიზარდა 4,7 მილიარდი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 93,3 მილიარდი მანეთი და „შესადარ ფასებში გაიზარდა 5,6 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 99,4 პროცენტით.

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაიყიდა წლის I ნახევარში პროცენტებით 1973 წლის I ნახევართან შედარებით
პურის პროდუქტები	99
ხორცი და ხორცეული	106
თევზი და თევზეული	105
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	108
მარგარინი	105
მოუხდელი რძის პროდუქტები	108
ყველი	106
კვერცხი	111
შაქარი	100
საკონდიტრო ნაწარმი	102
ჩაი	107
კარტოფილი	102
ბოსტნეული	116
ხილი და ციტრუსები	115
ტანსაცმელი, თუთრეული და ქსოვილები	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი	109
წინდები	105
ტყავის ფეხსაცმელი	108
ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ჭურჭელი	110
საპონი	103
სინთეზური სარეცხი საშუალებანი	104
ავეჯი	109
საყრდენი მანქანები	98
მაცივრები	101
სარეცხი მანქანები	96
ელექტრომტვერსასრუტები	121
საათები	106
ფოტოაპარატები	93
მოტოციკლები და მოტოროლერები	106
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები	104
რადიომიმღებები და რადიოლები	102
ტელევიზორები	98
მსუბუქი ავტომანქანები	126

საქონელბრუნვისა და საქონლის გაყიდვის ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა ზოგიერთ მთვანზე.

საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 17,8 მილიარდი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა.

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების** მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით, აქედან სოფლად — 13 პროცენტით. საყოფაცხოვრებო სამსახურის ქსელი ნახევარ წელიწადში 900 საწარმოთი გაფართოვდა. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის დადგენილი გეგმა შესრულდა.

წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო საწარმო-ორგანიზაციებმა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებმა **საექსპლოატაციოდ გადასცეს 600 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა,** რომელთა საერთო (სასარგებლო) ფართობი 27,7 მილიონი კვადრატული მეტრია. ბევრი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ააშენეს აგრეთვე კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 100 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 65 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები 8 ათასი საწოლით, პოლიკლინიკები, რომლებიც ცვლაში 17 ათას პაციენტს მიიღებენ, და ბევრი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. ამასთანავე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

მიმდინარეობდა ქალაქებისა და სოფლების შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები. ნახევარ წელიწადში გაზიფიცირებულია 1,7 მილიონამდე ბინა.

შემდგომი წარმატებანია მიღწეული **სახალხო განათლებისა და კულტურის** განვითარებაში. სხვადასხვა სახეობის სწავლებაშია ჩაბმული 85 მილიონზე მეტი კაცი. მათ შორის 49 მილიონზე მეტი სწავლობდა ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, 4,7 მილიონი — უმაღლეს სასწავლებლებში, 4,4 მილიონი — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. რიგწლიანი სკოლა დაამთავრა 5,3 მილიონმა კაცმა. საშუალო განათლება მიიღო 4 მილიონზე მეტმა ქალაქისელმა და ჭაბუკმა, მათ შორის მილიონზე მეტმა — საღამოსა და დაუსწრებელ სასწავლებლებში და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 1,9 მილიონამდე სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე თითქმის 700 ათასი ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, აგრონომი, ეკონომისტი და სხვა სპეციალისტი, და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 1,2 მილიონი კაცი.

გაუმჯობესდა **მოსახლეობის სამედიცინო დახმარება და ორგანიზებული დასვენება.** გაიზარდა საოლქოების რიცხვი საავადმყოფო დაწესებულებებში, ადგილები სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და ტურისტულ ბაზებში.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საერთო რიცხვმა 1974 წლის 1 ივლისისათვის შეადგინა 252 მილიონი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ძმური მეგობრობის კეთილი ნაყოფი

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავისათვის

Ყოველ მეოთხე მუშას პოლონეთის მრეწველობაში ყოველდღიურად საქმე აქვს სსრ კავშირიდან შემოტანილ ნედლეულთან, ან საბჭოთა საწარმოების პროდუქციასთან, რომელიც მიღებულია ორ ქვეყანას შორის საწარმოო კოოპერაციის საფუძველზე. თითქმის 30 პროცენტ ფოლადსა და 20 პროცენტ ელექტროენერგიას პოლონეთში აწარმოებენ მეტალურგიულ კომბინატებსა და ელექტროსადგურებში, რომლებიც აღჭურვილია საბჭოთა მოწყობილობით. ამავე დროს ყოველი მეხუთე საზღვაო ხომალდი, რომელიც საბჭოთა ალმით დადის, აგებულია პოლონეთის გემთსაშენებში. სსრ კავშირში მუშაობს 148 საწარმო, რომლებიც მთლიანად აღჭურვილია პოლონური მანქანებით.

ამ ციფრებით რიდი ამოიწურება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მთელი მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობა. ისინი მხოლოდ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ მისი მასშტაბის შესახებ. ისინი მოწმობენ, რომ ორ ხალხს შორის უღრმესი კავშირურთიერთობაა ადამიანის საქმიანობის უმთავრეს დარგში — მატერიალური დოვლათის წარმოებაში. სსრ კავშირი და სახალხო პოლონეთი ასოციელებენ გაცვლასა და კოოპერირებას დიდალ ნაკეთობათა წარმოებაში, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ორივე ქვეყნის ეკონომიკისათვის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნისათვის. ასეთ თანამშრომლობას ისტორიული თვალსაზრისით ობიექტური ხასიათი აქვს, იგი ნაკარნახევია სოციალისტური წყობილების ერთობით, სსრ კავშირისა და პოლონეთის ხალხების მიერ არჩეული მიზნების ერთიანობით.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის განმასხვავებელი თვისებაა მრავალი მილიონი ადამიანის მონაწილეობა ამ თანამშრომლობაში. ეს ეხება არა მარტო წარმოების სფეროს, არამედ აგრეთვე სულიერ ურთიერთობას, მისწრაფებას, რომ რაც შეიძლება მეტი იცოდეს ერთმანეთის გამოცდილებაზე, ორივე ხალხის კულტურით დაგროვებულ ესთეტიკურ ღირებულებაზე.

თავდადებული შრომის მეოხებით პოლონელმა მშრომელებმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით გაზეიერ ოცდაათ წელიწადში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი 1938 წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე გაახკარიშებით 7-ჯერ გაიზარდა. სამრეწველო წარმოება ამ პერიოდში 20-ჯერ გადიდდა. 1950 წლიდან აგებულია 2,5 მილიონამდე ბინა ქალაქებში და ერთ მილიონამდე სასლა სოფლად.

სოციალისტური გზით განვითარების 30 წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს პოლონელი ხალხი განიერად უკავშირებს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობას. გამოვიდა რა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმზე, სადაც იხილავდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებს სახალხო პოლონეთის 30 წლისთავის გამო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკამ განაცხადა: „სსრ კავშირთან ურთიერთობამ ეროვნულ მეუტანა განვითარებულ, საშუალება მისცა დაბრუნებულიყო ოდერის, ნისისა და ბალტიკის გასწვრივ მდებარე მიწებზე, ხელი შეუწყო პრეზიდიუმულ სოციალურ-კულტურულ გარდაქმნებს, ჩვენი ეკონომიკა ყოველდღიურად ეფუძნებოდა ბოლო ოცეულ ნელ-ნელ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეს ინტეგრაცია ეფუძნებოდა ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეს ინტეგრაციის ეფექტიანობა

გაზეთები და ჟურნალები — ყველა ოჯახში

„სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკურ სამმართველოში შედგენილია რუკა, რომლის მიხედვითაც შეგიძლიათ თვალი გაადევნოთ პერიოდული პრესის განვითარების მარშრუტებს. აქ გამოთვლილია, რომ ყოველდღიურად ფოსტას ხელმომწერებთან მიაქვს 6.090 ათასი ცალი გაზეთი და ჟურნალი. ყოველ ათას კაცზე საქართველოში მოდის ამ გამოცემათა 1.510 ეგზემპლარი.

— გაზეთები და ჟურნალები, — თქვა „სოიუზპეჩატის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ს. ხელაძემ, — დამკვიდრდა ყოველი ოჯახის ყოფაში. ჩვენში პერიოდულ პრესას ავრცელებს „სოიუზპეჩატის“ და „კავშირგამტარობის 4.830 საკავშირო და რაიონული განყოფილება და საგაზეთო, ხელმოწერის მიღების პუნქტი. ამ საქმეში ქმედით დამმარებას გვიწევენ პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლთა მრავალრიცხოვანი არმია და ბეჭდვითი სიტყვის პროპაგანდისა და გავრცელების საბჭოები, რომლებიც შექმნილია მხსენელ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენ დავისახეთ ამოცანა, თქვა ს. ხელაძემ, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ რაც შეიძლება უკეთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილება პერიოდულ პრესაზე. ამ მიზნით, კერძოდ, ფართოდება „სოიუზპეჩატის“ საცალო ქსელი. უკვე ახლა რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში არის „სოიუზპეჩატის“ 700-მდე კიოსკი და შვიდი მაღაზია. უახლოეს ხანში კიდევ 20 კიოსკი გაიხსნება, უპირატესად, კურორტებზე და სპეციალიზებული მაღაზია ბათუმში.

„სოიუზპეჩატის“ დღევანდელი კიოსკი ეს მარტო გაზეთები და ჟურნალები როდია. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი ქალაქების მაგალითისამებრ ჩვენ შემოვიღეთ კიოსკებში კონცერტების, ღია ბარათების, ავტოკალმების, ცნობარების, მეგზურების, სხვადასხვა სუვენირების, სიგარეტების გაყიდვა... ჩვენი კოლეგების გამოცდილების შესწავლის მიზნით მუშაკთა ჯგუფი მიემგზავრება რიგას და ვარშავაში.

დღეისით „საქართველოს კურიერტებს სანიმუშო მომსახურება!“ დაწყებული ერთთვიური, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, დაგვეხმარება მოსახლეობას, დასვენების კერებში დასვენებულებს მიეწოდოთ „სოიუზპეჩატის“ მომსახურება. ამ დღეებში პარკებში, პლაჟებზე, კაფეებში, სასადილოებში შეხვდებით „სოიუზპეჩატის“ მუშაკებსა და მათ აქტივისტებს. პოლიეთილენის ლამაზ პაკეტებში მათ აქვთ ახალი გაზეთები, ჟურნალები, გრამფირფიტები, ღია ბარათები საქართველოს ხედვებით, ავტოკალმისტრები, ბლოკნოტები... ყოველივე ამას ვთავაზობთ დამსვენებლებს. მომსახურების ამგვარ ფორმას მუდმივად ვაქცევთ. ჩვენი მიზანია გავაფართოოთ მუდმივ მკითხველთა წრე. (საინფორმაციო).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ

Ა. ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲔ—ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

ᲐᲥ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲡ

ცხაკაია. ხორშის ეთერზეთოვან საბჭოთა მეურნეობა-ქარხანაში მიღებულია ბევრი შეკვეთა თამბაქოს ზეთზე. ევროპის შორის არიან ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ისეთი პარფიუმერიკოსმეტიკის საწარმოები, როგორიც არის მოსკოვის ფაბრიკა „ნოვაია ზარია“, ლენინგრადის „სევერნოე სიანიე“, რიგის „ძირტარა“.

საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა, რომელიც თამბაქოს ზეთს აშზადებს. მისი მიღების ტექნოლოგია რამდენიმე წლის წინათ შეიმუშავეს სპეციალისტებმა. მაგრამ ზეთი მზადდებოდა პატარა პარტიებად, რომლებიც გადიოდნენ გამოცდას საბჭოთა კავშირის ბუნებრივი და სინთეზური სურნელოვანი ნივთიერებების სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში. მოსკოველმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალი სახეობის ეთერზეთს. ახალი თამბაქოს თავისებური სურნელების გარდა მას აქვს აგრეთვე ძლიერი ანტისეპტიკური მოქმედება. მის საფუძველზე გამოშვებულმა მამაკაცის სუნამომ მომხმარებელთა ფართო აღიარება დაიმსახურა.

ზეთს თამბაქოს ზეთის წარმოება მიაღწევს 1.700 კილოგრამს. უკვე მიღებულია 500 კილოგრამი. (საქინფორმი).

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

არის დაწესებულება თუ ფონდი, ორგანიზაცია თუ წარმობა, რომელიც გარკვეული კატეგორიის ადამიანებს ემსახურება, მაგრამ არის მმაჩის რესპუბლიკური არქივი, რომელიც მომსახურებას უწევს ყველა ადამიანს, ვინც ჩვენს მიწა-წყალზე დაიბადა, იქორწინა, ბავშვი იშვილა, გვარი და სახელი შეიცვალა, წლოვანება აღიდგინა და ა. შ.

არქივში მოქალაქეთა მდგომარეობის აქტები ინახება გასული საუკუნის მიწურულიდან. შეუძლია მოგვმართოს ყველა მოქალაქემ, დაინტერესებულმა დაწესებულებამ, ორგანიზაციამ, რომ დაადგინოს ზუსტი თარიღი — ვინ, სად და როდის დაიბადა, იქორწინა და სხვ...

არქივი ხომ ჩვენი გუშინდელი დღეა. სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის ასეთი არქივის არსებობა და მისამართი. არ იციან, სად მიმართონ და ხშირია შემთხვევა, როცა მოქალაქე განცხადებას გზავნის მოსკოვში, ან რომელიმე სამინისტროში, პროკურატურაში თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში. ზოგიერთი კი ცხოვრობს თბილისში, აქვე ჩვენთან ახლოს და მიდის რაიონში მოწმობის ასაღებად. არის საკმაოდ ავტორიტეტული დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც არ მოგვმართავს აუცილებლობის დროსაც კი.

ერთი საგულისხმო ფაქტი. ქართული პოეზიის მშვენება — გალაკტიონი ისე გარდაიცვალა, რომ მისი დაბადების თარიღი ზუსტად არ ვიცოდით და მხოლოდ მმაჩის რესპუბლიკურ არქივში დაზუსტდა იგი. მოსფილიმი ჯარისკაცის მამად ცნობილი ჩვენი თანამემამულე ს. ზაქარიაძე გარდაიცვალა და პრესამ დაბადების სხვადასხვა დრო აცნობა მკითხველებს.

ჩვენ დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ ს. ზაქარიაძე დაიბადა 1907 წ. ქ. ქუთაისში. არის ხელმეორე, როცა მოქალაქეს ყველა დოკუმენტი წყვარიეში აქვს, უწერია თარიღი, ადგილი, არც სიბუთია საეჭვო და არც პიროვნება, მაგრამ დადგინდა სულ სხვა ადგილი და თარიღი.

არქივის ფონდი არის უტყუარი ნანაწერი, სადაც არ შეიძლება იყოს შეცდომა. რეგისტრაციის დროს არავინ ფიქრობს წლების მომატებას ან მოკლებას რამე მიზნით. არქივის გამოცდილმა თანამშრომლებმა იციან რა გვარი სად ინათლებოდა საკლესიო ცერემონიალის დროს და მათი შეცდომაში შეყვანა ძნელია. არქივი თავისი მიზნებით და ამოცანებით ემსახურება ყველა მოქალაქეს, ვინი ჩანაწერიც ჩვენთან ინახება.

მაგრამ ვამცნებთ იმასაც, ვინც ცდილობს დამალოს ნამდვილი თარიღი თუ ადგილი. არქივის მასალები ნელს უწყობენ სადამჯერო ორგანოებს, სასამართლო-პროკურატურას, მილიციას, ადგოკატურას, სამხედრო კომისარიატს, სპორტულ საზოგადოებას, სკოლებს ბავშვთა ბაღებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სატენსიო განყოფილებებს და სხვ. ვემსახურებით არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში მცხოვრებთ. არამედ საზღვარგარეთელ ჩვენს თანამემამულეებსაც.

არქივის თანამშრომლები მუშაობენ ხალისით, ინტერესით. ჩვენ მოწმე ვართ იმ ადამიანთა სიხარულისა, რომელთა ჩანაწერი ჩვენთან ინახება. ახლო ხომ ათასობით არის. ერთი წლის განმავლობაში 35 ათასი განცხადება და მომართვა შემოდის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უფრო ნათელი გავხადოთ ჩვენი წარსული, ჩვენი გუშინდელი დღე.

ᲪᲘᲚᲐᲚᲐ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲫᲘ,
მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე.

ᲠᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲔᲙᲐᲠᲐ

ᲓᲐᲓᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲕᲜᲐ, ᲐᲜᲣ ᲒᲐᲛᲔᲑᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐ

ᲜᲣ გაიოცებთ, ზუსტად ასე წერია: „...დადუმებული ხმების ბდღვნა“. სად წერია? წეგნში, რომანში, რომელიც რუსულ ენაზე დაწერა ბორის ბორისოვიჩ რუსმა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ— „ᲒᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ“, ხოლო ქართულად თარგმნა აკაკი ბერეკაძემ და 1968 წელს გამოუცია „საბჭოთა საქართველოს“, 193-ე გვერდზე. რა თქმა უნდა, ა. ტოლსტოის არ ეკუთვნის ეს ამდა-უბდა, მთარგმნელს შეუთხზავს, როცა მოუნდომებია ეთარგმნა ფრაზა «...Ревело беззвучными голосами» (გვ. 154, ა. ნ. ტოლსტოი. რჩეული თხზულებანი, ტ. III, მოსკოვი, 1951 წ.)

დიდი წიგნია „გზანი წამებისანი“, ოიდია იგი ტანიოაც, ამიტომ არ შეეცდებით ამ პატარა შენიშვნაში ძალი სიგრძე-სიგანით გადმოვიცეთ თარგმანის ყველა „ღირსება“ (ეს შეუძლებელიც არის). გვინდა მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ იმისა, თუ როგორ „გაბდღვნა“ მთარგმნელმა ის, რასაც მხატვრული თარგმანი ეწოდება.

«...Отказываюсь... Не угоден вам, ради бога — рапорт...» (გვ. 532) — წერს ა. ტოლსტოი. „უარს ვამბობ... პატაკი უხეიროო გამოდგა“ (გვ. 610) — თარგმნის ა. ბერეკაძე. კაცი ამბობს, თუ არ ვინდივართ, პატაკს მოგართმევთ და გადავდგებით, ბრეკაძე კი რას ცოდვილობს, ვერ გაიგებ!

რომანში ერთგან ავტორი მაბნოს სახეს აღწერს და ამბობს: «...И что-то в нем казалось недозрелым и свирепым, как у подростка. Все, кроме глаз, старых и умных». (გვ. 463). თარგმანში კი ვკითხულობთ: „...სახეზე, მოზარდისა არ იყოს, რაღაც მოუმწიფებელი და სასტიკი რამ ეშჩნეოდა. თვალების გარდა, ყველაფერზე ბებრული და ᲩᲥᲕᲘᲐᲜᲣᲠᲘ იერი დაჩრდილულ“ (გვ. 535) მკითხველი ალბათ ეკითხება: ეს ალბათ ᲩᲥᲕᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘᲐ? ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲛᲝᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ